სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/171

ქ. თბილისი

31 ოქტომბერი 2024 წ.

სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „გაზმომარაგების სასწავლო სამეცნიერო ცენტრის“ სახელის ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, სტუ-ის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის პროფესორ მიხეილ ჯანიკაშვილის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N 01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „გაზმომარაგების სასწავლო სამეცნიერო ცენტრს“ და ეწოდოს „წყალბადისა და აირმომარაგების“ სასწავლო სამეცნიერო ცენტრი;
2. მოწონებული იქნეს ცენტრის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „გაზმომარაგების სასწავლო სამეცნიერო ცენტრის“ დებულებაში ;
3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**